სს ნიკორა
contact@nikora.ge
+995 32 269 55 50/51
საქართველო, თბილისი
0180, ა.მრევლიშვილის ქ. #2
ს/კ 200050675

№ .....

.....

შეტყობინება
სააქციო საზოგადოება "ნიკორა"-ს (ს/კ 200050675)
აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ

ქ. თბილისი

04 თებერვალი 2022 წელი

➢ **საზოგადოების დასახელება/მისამართი:**
სს „ნიკორა" (ს/კ 200050675), მისამართი: თბილისი, ა.მრევლიშვილის N2.

➢ **კრების მოწვევის დრო/ადგილი:**
2022 წლის 25 თებერვალს, 14:00 საათზე, მოიწვევა სს „ნიკორას" აქციონერთა მორიგი საერთო კრება. საერთო კრების მოწვევის ადგილია, სს „ნიკორას" იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ა.მრევლიშვილის N2.

აქციონერები უფლებამოსილები არიან მითითებულ დროს უშუალოდ დაესწრონ საერთო კრებას ან/და გამოყენებულ იქნას წესდებით გათვალისწინებული ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებები, რაზეც წინასწარ უნდა შეატყობინონ კომპანიის ხელმძღვანელ პირს შესაბამისი მზაობისთვის. თავიანთ ტექნიკურ უზრუნველყოფას თითოეული აქციონერი განახორციელებს დამოუკიდებლად.

➢ **საღრიცხვო თარიღი:** საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება აქვთ საღრიცხვო დღისთვის. საერთო კრების საღრიცხვო თარიღია 2022 წლის 02 თებერვალი.
აქციონერის, საერთო კრების მოწვევის თარიღისთვის კუთვნილი აქციათა და ხმების რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან _ ს.ს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტარტორი", მისამართი: თბილისი, მოსაშვილის N11 ან აქციონერი უფლებამოსილია მიმართოს სს „ნიკორას" ხელმძღვანელს, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ გაცემული ინფორმაციის წარმოდგენისთვის.

➢ **საერთო კრების დღის წესრიგი:**
1. სს „ნიკორას" 2021 წლის ფინანსური შედეგების განხილვა; სს „ნიკორა"-ს გენერალური დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ერთობლივი წინადადების განხილვა, სს ნიკორას ჩვეულებრივი კლასის აქციების მფლობელ აქციონერებზე დივიდენდის განაწილების შესახებ. სს „ნიკორას" 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების საკითხის განხილვა.

➢ **საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის პროცურები:**
საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება შესაძლებელია პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით. საერთო კრებაზე მონაწილეობის მისაღებად საჭიროა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა. ხმის მიცემის უფლების განხორციელება შესაძლებელია საერთო კრებაზე დასწრებით ან/და წესდებით დადგენილი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით.

➢ **საერთო კრების გახსნამდე რეგისტრაცია:**
საერთო კრების გახსნამდე, 14:00 საათამდე ტარდება საერთო კრებაზე გამოცხადებული აქციონერების (მათი წარმომადგენლების) რეგისტრაცია (აქციონერი, რომელმაც რეგისტრაცია არ გაიარა, ქვორუმის განსაზღვრისას არ გაითვალისწინება და მას არ აქვს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება).
სს „ნიკორას"

-გენერალური დირექტორი:

ირაკლი ბოქოლიშვილი ----------

04.02.2022

www.nikora.ge